ხელშეკრულება №05-09-01/16

ქ. თბილისი 5 სექტემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის ვალერიან ხასაშვილის სახით, და მეორე მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიენტ ლოჯიკი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ 1.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ მომსახურებას წარმოადგენს კომპიუტერულ მოწყობილობის Printer HP Color LJ CM1312 nfi MFP ტექნიკურ მომსახურება და შეკეთება (როლიკის გაწმენდა) (CPV კოდი - 50312000).

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.3 შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ინსპექტირებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი თამარ კალანდაძე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტების შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტები ან მათი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტების მიწოდების საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ფაქტიური მისამართი.

3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირად განისაზღვროს სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სპეციალისტის დავით თავაძე.

3.4. შესყიდვის ობიექტების (მათი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს, საქართველოში მოქმედი ყველა გადასახადის ჩათვლით.
4.2. 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.3 ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის მიმწოდებლის მიერ მიწოდებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
5.2. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:
5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
5.2.2. შესყიდვის ობიექტების ნაკლის აღმოჩენისას მოახდინოს ნაკლის ოპერატიულად გამოსწორება თავისი ხარჯით;
5.2.3. უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილი სტანდარტებით (კვალიფიციურ და პროფესიულ დონეზე) შესრულება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
6.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.
6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან, 2016 წლის 5 სექტემბრიდან 2016 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე

მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. მხარეები უფლებამოსილი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
10.5 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204447330
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ა/ანგარიში GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22
სამსახურის უფროსი

ვალერიან ხასაშვილი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"

მის.: ქ. თბილისი, დიღომი, ბელიაშვილის ქ. №8
საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ბაზის ბანკი"
ა/ანგარიში GE96BS0000000005936872
ბანკის კოდი: CBASGE22
დირექტორი

ვაჟა ნასყიდაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ კომპიუტერულ მოწყობილობის ტექნიკურ მომსახურების და შეკეთების (მიმწოდებელი შპს „ორიენტ ლოჯიკი“) შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვალერიან ხასაშვილი

სამსახურის უფროსი

თამარ კალანდაძე

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი

5.09.2016